პროექტი „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ - „დიდი იდეების კონკურსი“

(Big Idea Challenge)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით და ბრიტანეთის საბჭოს დაფინანსებით ახორციელებს პროექტს „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“.

პროექტის მიზანია:

- სტუდენტების და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებული ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარება;
- ახალი ბიზნესის ამოქმედების და მისი ფუნქციონირების მხარდაჭერა ინკუბაციის საშუალებით;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბიზნეს სექტორს შორის, მჭიდრო თანამშრომლობის სტიმულირება და მხარდაჭერა;
- ცოდნის გაზიარება.

აღნიშნული პროექტის **გლობალური კონკურსის - Big Idea Challenge** ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში **“დიდი იდეების კონკურსი” (Big Idea Challenge) ჩატარდა.**

დიდი იდეების კონკურსი გამოცხადდა მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში და იდეების მიღება საორგანიზაციო ჯგუფის მიერ განხორციელდა სპეციალური აპლიკაციების გამოყენებით. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ სტუ-ს

ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებს, თანამშრომლებს (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი) და კურსდამთავრებულებს 35 წლის ასაკამდე.

კონკურსი ჩატარდა სამ კატეგორიაში: 1. ციფრული ტექნოლოგიები; 2. სოციალური გავლენა; 3. შემოქმედობითობა.

8 მაისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კილის უნივერსიტეტის აკადემიური წრის წარმომადგენლების მონაწილეობით და მოდერაციით ჩატარდა ფინალური პრაქტიკული სემინარი (ვორქშოპი), სადაც ფინალურ ეტაპზე დიდი იდეების კონკურსის ფარგლებში მიღებული აპლიკაციების ავტორთა მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი იქნა 1-წუთიანი მოხსენებები. ჯამში წარმოდგენილი იქნა 17 მოხსენება, რომელთა მოსმენის შემდეგ ინგლისელი პარტნიორებისა და ქართველი ტრენერთა-ტრენერების მონაწილეობით ჩატარდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები და მასტერკლასი, რომლის მიზანი იყო იდეათა დამუშავება სპეციალურად კონკურსისთვის მომზადებული ინსტრუქციების გათვალისწინებით, რათა მომხდარიყო აპლიკაციების და პრეზენტაციების მომზადება კონკურსის მოთხოვნათა სრული დაცვით. ვორკშოპის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი პროექტების ნაწილი, ასევე, Erasmus+ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სხვა კონკურსშიც იყო წარდგენილი.

ვორკშოპის შემდეგ სტუ-ს სტუდენტურ ტელევიზიაში ჩაიწერა აღნიშნული იდეების 1-წუთიანი ვიდეომოხსენებები. სპეციალურად დაკომპლექტებული საერთაშორისო ჟიურის მიერ, რომელშიც შედიოდნენ კილის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, შეირჩა საუკეთესო 10 მოხსენება, რომელიც დაჯგუფდა 3 კატეგორიაში.

სტუ-ში შერჩეული საუკეთესო დიდი იდეების ათეული:

1. All In One;
2. Recruiter / Employer Platform;
3. RainBow (Bracelets);
4. Wine's Bro;
5. Inform Children;
6. Hangout With Me;
7. Giftsbook;
8. Construction and renovation in one space – „Easy UP”;

9. SmartION;
10. Helping Hand;

შერჩეული 10 იდეა პროექტის დასკვნით ეტაპზე აღნიშნული ვიდეომოხსენებების და თანდართული აპლიკაციების სახით წარდგენილია, ჯერ პროექტის ეგიდით გასამართ ლოკალურ კონკურსში საქართველოს მაშტაბით (ე.წ. Country Panel), ხოლო იქ გამარჯვებული, რომელიც უნდა გამოვლინდეს მიმდინარე წილის 16 ივლისამდე, ჩაერთვება მთლიანად პროექტის მასშტაბით გასამართ საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან და უზბეკეთიდან. ასევე, პროექტის მასშტაბით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული ე.წ. ხალხის არჩევანის კატეგორიაში.

პროექტში ჩართული პირებისთვის, რომლებიც შეძლებენ დასკვნით ეტაპზე წარადგინონ დამუშავებული პროექტები და გაიმარჯვებენ ქვეყნის მასშტაბით კონკურსში, გათვალისწინებულია სხვადასხვა პრიზები. კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებულები მიიღებენ 3000 ფუნტ სტერლინგს; ხალხის რჩეული - 2000 ფუნტ სტერლინგს. ყველა კატეგორიაში გამარჯვებულები ლონდონის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში სასწავლო ვიზიტით გაემგზავრებიან.

პროგრამა მთლიანად დაფინანსებულია ბრიტანული საბჭოების მიერ.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ იხილეთ აქ.

აღსანიშნავია, რომ „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ არის 5-წლიანი ინიციატივა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო და ინსტიტუციურ პარტნიორობებს სამეწარმეო უნარების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში. პროგრამა ხორციელდება დიდ ბრიტანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში. პროგრამასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია იხილეთ აქ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაინტერესებულ პირებს პროექტში ჩართვა შეეძლოთ ორი გზით:

1. **„საკუთარი ბიზნესიდეა“** - პროექტი ითვალისწინებდა სტუდენტური იდეების გენერაციას და მის წარდგენას **გლობალური კონკურსის - Big Idea Challenge** ფარგლებში, რომელიც უკვე სრულად განხორციელდა;
2. **„რეალურ ბიზნესპროექტზე მუშაობა“** - რაც გულისხმობს ბიზნესის სექტორთან თანამშრომლობით, რეალური ბიზნესქეისების დამუშავებას და დასმული ამოცანების საპროექტო ინოვაციურ გადაწყვეტას, ბიზნესის სექტორთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთობლივად საკონსულტაციო მუშაობის გზით. პროექტის აღნიშნული მიმართულება ჯერ არ დასრულებულა, ის ამჟამადაც

მუშავდება და პროექტის მეორე ეტაპზე სრულყოფილი სახით განხორციელდება. (პროექტის ეს მიმართულება **სტუ-ში განხორციელდება კილის უნივერსიტეტში წარმატებით აპრობირებული „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა“ (KRISP) ანალოგის სახით,** რომელიც დიდ ბრიტანეთშიც საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ბიზნესებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის სტიმულირებისა და მხარდასაჭერად შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობაში ჩართვა ამჟამადაც შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის ინსტიტუციურ კოორდინაციას ერთობლივად ანხორციელებენ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური და სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის მთავარი პარტნიორია სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა და სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი.

ღონისძიებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სტუ-ს ინოვაციების ცენტრს (საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური. სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი N221; ოთახი N223).

კითხვების ან საკონსულტაციო შეხვედრების სურვილის შემთხვევაში, მოგვწერეთ: innovations@gtu.ge ან დაგვირეკეთ ტელ.: (+995 32) 237 54 34.